თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1584184

ნომერი: AR1261147

თარიღი : 27.10.2014

გაცემის თარიღი : 07.11.2014

გაცნობის თარიღი : 10.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N005/056) / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N 005/055) / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვ. 05/044) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი სუთიძე პ/ნ 21001005063
- თბილისი გლდანი VI მ/რ კორ. 8 ბ. 66

ორგანიზაცია:
- შპს კოლხეთი გრუპი კოდი: 400115870

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 27 ოქტომბერს #AR1261147 განცხადებით მომართა შპს „კოლხეთი გრუპის“ დირექტორმა ირაკლი სუთიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ აქტში მესაკუთრედ შპს "Green Wall Development"–ის ნაცვლად შპს „კოლხეთი გრუპის“ დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გურამიშვილის გამზირი #64, (ნაკვ#005/056), / გურამიშვილის გამზირი #64 (ნაკვ#005/055) / გურამიშვილის გამზირი #64, (ნაკვ#05/044), შპს „კოლხეთი გრუპის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, თუმცა აქტში ტექნიკური შეცდომის გამო შპს „კოლხეთი გრუპის“ ნაცვლად დაფიქსირდა შპს "Green Wall Development"–ი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: 882014210724, თარღი: 25/04/2014წ. ს/კ: 01.12.01.005.100) თანახმად, აქტის გამოცემის ეტაპზე სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო შპს „კოლხეთი გრუპი“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით არის საფუძვლიანი და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „კოლხეთი გრუპის“ დირექტორის ირაკლი სუთიძის 2014 წლის 27 ოქტომბერის #AR1261147 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებაში, კერძოდ აქტის სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გურამიშვილის გამზირი #64, (ნაკვ#005/056), / გურამიშვილის გამზირი #64 (ნაკვ#005/055) / გურამიშვილის გამზირი #64, (ნაკვ#05/044), შპს „კოლხეთი გრუპის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის #1560822 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.